



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის №049/12<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სტუდენტი - გიორგი ჩიკვილაძე

### საქმის ფაქტები

ადვოკატს უნდა დაეცვა დაკავებული ბრალდებულის ინტერესები სისხლის სამართლის საქმეზე ჰონორარის მიღების გარეშე, თუმცა ადვოკატი ბრალდებულის ცოლს დაუკავშირდა და ამ უკანასკნელს მოსთხოვა ჰონორარი. ასევე, ადვოკატმა ბრალდებულის ცოლს დაზარალებულთან გააფორმებინა ზიანის ანაზღაურების ხელშეკრულება, რაც, ბრალდებულის (საჩივრის ავტორის) აზრით, მისი ინტერესების უხეში დარღვევაა, რადგან ის ბრალს არ აღიარებდა, ეს არ იყო ბრალდებულის ინტერესი და სურვილი. ბრალდებულის აზრით, ადვოკატმა ვერ შეასრულა მისთვის დაკისრებული ვალდებულებები, დაზარალებული მხარის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებდა და არ აწვდიდა კლიენტს რელევანტურ ინფორმაციას საქმის ვითარებაზე. ადვოკატი არ აღიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას და განმარტავს, რომ მის მიერ ადგილი არ ჰქონია არაკეთილსინდისიერ მოპყრობას, პირიქით, ის ცდილობდა მაქსიმალურად განეხორციელებინა ბრალდებულის ინტერესების დაცვა.

### პროცესუალური ისტორია

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ბრალდებულმა (კლიენტმა) და მოითხოვა ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. საპროცესო კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატის მიმართ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 6.2, 5(ე), აპეკ-ის 8.2, 8.5, 8.6 მუხლების დარღვევის ფაქტებზე.

### სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ მართალია ადვოკატი უნდა მოქმედებდეს თავისი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ ეს არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ მან კლიენტის გარეშე მიიღოს ესა თუ ის სამართლებრივი გადაწყვეტილება, რამაც შესაძლოა მოულოდნელი შედეგი დააყენოს კლიენტისათვის. ადვოკატი არაა მხოლოდ უფლებამოსილი კლიენტის ნაცვლად იმოქმედოს და მისი სახელით მიიღოს გადაწყვეტილებები, არამედ მისი ვალდებულებაა ურჩიოს კლიენტს სამართლებრივი გზებიდან მისთვის ყველაზე ხელსაყრელი მათგანი და დაუხასიათოს სამართლებრივი მოქმედებების რისკები. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი არა თუ კლიენტის ინტერესების დამოუკიდებლად, არამედ მის საზიანოდაც კი მოქმედებდა, აფორმებდა რა საპროცესო შეთანხმების შესახებ ხელშეკრულებას და არ აწვდიდა რა შესაბამის სამართლებრივ ინფორმაციებს კლიენტს, რომელსაც თავის მხრივ უნდა მიეღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შემოთავაზებული რჩევის მიხედვით როგორი გზით გაეგრძელებია საპროცესო მოქმედებები. ადვოკატის მიერ აღნიშნული ხელშეკრულების დადება მაშინ, როდესაც ამის წინააღმდეგი იყო ბრალდებული იმ მიზეზით, რომ ბრალს არ აღიარებდა, უფრო მეტად მიუთითებს ადვოკატის მიერ დაზარალებულის ინტერესების დაცვაზე, რაც ამკარად არღვევს ადვოკატთა ქცევის ეთიკურ

<sup>1</sup> <https://www.gba.ge/pdf/5c484a17effe2.pdf/5c484a17effe2.pdf>

ნორმებს. ასევე, ადვოკატის მიერ ბრალდებულთან კომუნიკაციის სიმწირემ კლიენტში წარმოშვა დაცვის მიმართ უნდობლობაც, რაც მიუთითებს ადვოკატის არაკეთილსინდისიერ საქმიანობაზე. საბოლოოდ, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, აღნიშნული მოტივაციის საფუძველზე, დადგინდა, რომ ადვოკატმა მართლაც დაარღვია ადვოკატისთვის განსაზღვრული ეთიკის წესები.

### **დასკვნა**

ეთიკის კომისიამ დაადგინა ადვოკატის მიერ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა), 6.2 და ეთიკის კოდექსის 8.2, 8.5 და 8.6 მუხლების დარღვევა. ეთიკის კომისიამ ადვოკატს დააკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა - გაფრთხილება.